მსოფლიო ბანკში საქართველოს გაწევრიანების 20 წლის აღსანიშნავად

უმაღლესი სასწავლებლების საყურადღებოდ: კონკურსი სტუდენტებს შორის საუკეთესო ესეის გამოსავლენად

დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის

შერჩევის პროცესი

პირველი ეტაპი:

უმაღლეს სასწავლებელს ევალება ესსეების წინასწარი შერჩევა შეფასების კრიტერიუმების მიხედვით (იხ. ქვემოთ).

ამასთან, უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა:

- უზრუნველყოს კონკურსის შესახებ ინფორმაციის ფართო გავრცელება და სტუდენტების წახალისება მონაწილეობის მისაღებად;
- შექმნას სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომისია;
- არაუგვიანეს 30 ნოემბრისა წარუდგინოს მსოფლიო ბანკს მოთხოვნილი დოკუმენტების სრული ნუსხა (იხ. ქვემოთ);

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი ზოგადი მოთხოვნები:

- სტუდენტი ვალდებულია წარადგინოს ნაშრომი იმ უნივერსიტეტის მეშვეობით, სადაც სწავლობს;
  (სტუდენტების მიერ მსოფლიო ბანკში წარდგენილი ესეიები არ განიხილება)
- ნაშრომი შეიძლება დაიწეროს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე;
- ნაშრომი უნდა იყოს სტუდენტის მიერ შესრულებული;
- ნაშრომში მითითებული უნდა იყოს გამოყენებული წყაროები;
- ნაშრომი უნდა იყოს 3 დან 5 გვერდამდე (სიტყვების რაოდენობა: 900-დან 1500-მდე);
- შესაძლებელია გრაფიკების, ცხრილებისა და სურათების გამოყენება ზემოთ აღნიშნული გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით;
- ესეიების წარდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, PDF ფორმატში, ან ნაბეჭდი ასლის სახით;
- ესსე უნდა ეხმაურებოდეს გამოცხადებულ თემას: *საქართველო კიდევ ოცი წლის შემდეგ;*
- სასურველია, უმაღლესმა სასწავლებელმა თავის ნომინაციებში ფართოდ წარმოადგინოს სახვადასხვა დისციპლინა;

ყველა წარმოდგენილი ნაშრომი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- მკაფიოდ ჩამოყალიბებული ხედვა;
- ამ ხედვის განსახორციელებლად გასავლელი გზა;
- აზროვნების ლოგიკური ჯაჭვი;
- ესსეში გამოხატული მოსაზრებების ძლიერი დასაბუთება;

- ორიგინალური, შემოქმედებითი გადაწყვეტა;

შენიშვნა: მივესალმებით სტუდენტების მიერ სტილის თუ მიდგომის თავისუფალ არჩევანს

მეორე ეტაპი:

- მსოფლიო ბანკის კომისია მიიღებს საბოლოო გადაწყველიტებას ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით;
- გამარჯვებულთა ვინაობა გამოცხადდება ა.წ. 14 დეკემბერს მსოფლიო ბანკის პრეს რელიზში;
- გამარჯვებული ესეიები გამოქვეყნდება მსოფლიო ბანკის ვებ გვერდზე;

გამარჯვებული სტუდენტები და მათი უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები ჯილდოების გადასაცემად მოწვეულ იქნებიან მსოფლიო ბანკის მიერ ა.წ. 18 დეკემბერს გამართულ მიღებაზე.

მონაწილე უმაღლესი სასწავლებლის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

- უნივერსიტეტის შესარჩევი კომისიის შემადგენლობა;
- უმაღლესი სასწავლებლის საკონტაქტო პირის ვინაობა;
- წარმოდგენილი ესეიების მთლიანი რაოდენობა;
- მოკლე დასაბუთება, თუ რატომ შეირჩა ესეიები (ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით);
- შევსებული ფორმა სტუდენტის შესახებ (თანდართული);
- მოქმედი სტუდენტური ბარათის ასლი (ასეთის არარსებობის შემთხვევაში, პირადობის მოწმობის ასლი);
- კომისიის მიერ შერჩეული 3-დან 5-მდე საუკეთესო ესსე;

ნაშრომის თემა: ***„საქართველო კიდევ ოცი წლის შემდეგ“***